

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 122
23/03/2017

122-07-3-201703231223



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 17 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა №4.

დანართი: სხდომის ოქმი № 4-11 (თერთმეტი) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი

17.03.2017 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო საამშრომლო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დავით წულაძე, თანამშრომლები: კესო მახარაძე, მარინე ქანთარია, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, პრესის წარმომადგენლები, საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი ე. ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი ე. ჩხაიძე/

3. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქვევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი ე. ჩხაიძე/

4. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი ე. ჩხაიძე/

5. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ე. ჩხაიძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ე. ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ე. ჩხაიძე/

8. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ აუდიტორული შემოწმების შესახებ.

/მომხსენებელი ე. ჩხაიძე/

9.სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჩხაიძემ დააყენა წინადადება მე-8 საკითხის პირველ საკითხად გადმოტანის თაობაზე, რასაც დაეთანხმნენ ფრაქციის წევრები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე– ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ აუდიტორული შემოწმების შესახებ ისაუბრა ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ. იგი დაინტერესდა დაიწყო თუ არა გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურმა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ აუდიტორული შემოწმება, რაზეც გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის დავალება არ მიუღია.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“-თვის აღებული სესხი 250 000 ლარი, რომელიც 2013 წელს გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის კახაბერ ასკურავას მიერ იქნა აღებული დეპუტატ თეიმურაზ ჩხაიძის რეკომენდაციით გამგებელ ზაზა ურუშაძეს 2013 წლის ბოლოს უნდა დაეფარა, მაგრამ დავალიანება კვლავ გაუსტუმრებელია და სწორედ ამიტომაც იყო საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მოთხოვნა, რომ გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურს დაედგინა ამჟამად თუ რამდენი დავალიანება დარჩა „ლანჩხუთი გურიას“, ვინაიდან იყო საუბარი, რომ ვალების აღიარების შემთხვევაში მოვიდოდა სპონსორი, მაგრამ გამგებელმა ზაზა ურუშაძემ შესაბამისი დავალება არ მისცა გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურს. მან კიდევ ერთხელ იგნორი გაუკეთა საკრებულოს წევრების მოთხოვნას.

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ აღნიშნა, რომ გასულ წელს შემოწმებული იქნა საფეხბურთო კლუბი და სამსახურის მიერ შესაბამისი დასკვნაც დაიდო. მან აღნიშნა, რომ წლის დასაწყისში დგება გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება მუშაობა, რომელიც ფინანსთა სამინისტროსთანაა შეთანხმებული. ამჟამად გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური აუდიტორულ შემოწმებას ატარებს ბაღების ცენტრში, რის გამოც შეუძლებელია „ლანჩხუთის გურიას“ კლუბში აუდიტორული კვლევის ჩატარება. მან ასევე აღნიშნა, რომ კლუბის საქმიანობას სწავლობს ანტიკორუფციული სამსახური და ის იგივეს ამოწმებს ციფრების კუთხით, რაც გამგეობის შიდა აუდიტორულ სამსახურს უნდა შეესრულებინა.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ გამგებელ ზაზა ურუშაძეს ინტერესებში არ შედის კლუბის აუდიტორული შემოწმება, ვინაიდან მისთვის გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. მან აღნიშნა, რომ სპონსორის შემოსვლის შემთხვევითი ფაქტორია სწორედ დავალიანების არ აღიარება.

ფრაქციის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნია გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მოხდეს კლუბში აუდიტორული შემოწმების ჩატარება.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ეს პროექტი მომზადდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაევალებათ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის, სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის, დაწესებულების პერსონალის

სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტებისა და დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებისა და დადგენის მიზნით, 2017 წლის 1 აპრილამდე შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება. აქედან გამომდინარე, მომზადდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ნორმატიული აქტის სახით, ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ მონიტორინგი ხორციელდება სამსახურის მიერ ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ შუალედური მონიტორინგი და წლიური მონიტორინგი. მისი თქმით წლიური მონიტორინგის ჩატარება დაევალება გამგეობის სოციალურ სამსახურს. გამგეობის მიერ შემოტანილ პაკეტში ბაღებს უნარჩუნდებათ ძველი მდგომარეობა, ხოლო კონტროლს გაუწევს გამგეობის სოციალური სამსახური.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად ბაღები უნდა ჩამოყალიბდეს ცალკე იურიდიულ პირებად, რომლებსაც კონტროლს გაუწევს გამგეობის სოციალური სამსახური ან ამჟამინდელი ბაღების ცენტრი. დეპუტატის თქმით გამგეობის სამსახური ვერ შეძლებს იყოს მაკონტროლებელი, ვინაიდან ინტერდისციპლინურ სპეციალისტთა ჯგუფი არის სხვადასხვა სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც შედგება თითოეული სტანდარტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებისგან. ამიტომ დეპუტატს მიზანშეწონილად მიაჩნია დარჩეს ბაღის ცენტრი, რომელიც იქნება დაკომპლექტებული შესაბამისი სპეციალისტებისგან.

დეპუტატი ელგუჯა ჩხაიძე დაინტერესდა ამჟამად რა როლი აკისრია სოციალურ სამსახურს ბაღების კუთხით, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ ამჟამად მხოლოდ ხელშეწყობა უწერია დებულებაში სამსახურს, ხოლო შემდეგ მოხდება ფუნქციის დამატება. ფრაქციის თავმჯდომარის აზრით სოციალური სამსახურის სპეციალისტები არ არიან აღნიშნულ საკითხში კომპეტენტურები.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა აღნიშნული ცვლილება ზრდის თუ ამცირებს თანამშრომელთა რაოდენობას, რაზეც დავით წულაძემ განმარტა, რომ 103 თანამშრომელია, რომელიც 138-მდე გაიზრდება.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე მიესალმება დასაქმებულთა გაზრდას და აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა მოხდეს გათვალისწინება თუ რა ოდენობის თანხა იქნება საჭირო ბაღის ფუნქციონირებისთვის, ამისთვის საჭიროა ბუღალტერის მიერ იქნას დათვლილი ხარჯები.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ ორი ბაღი მიიღებს ავტორიზაციას. მან აღნიშნა, რომ იგი თავიდანვე არ უჭერდა მხარს ბაღების ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებას.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოში, განათლებისა და კულტურის კომისიასთან არსებულ სამუშაო ჯგუფში, აქტიურად მიმდინარეობდა განხილვები - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, მუნიციპალიტეტების საკრებულოების მიერ შესამუშავებელ ნორმატიულ აქტებზე. ეტაპობრივად კომისია მართავდა სამუშაო შეხვედრებს გამგეობის შესაბამის სამსახურსა და ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრის“ ხელმძღვანელობასთან, საბოლოოდ შეჯერებული პროექტები მიეწოდა გამგეობას. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ განსახილველად შემოიტანა რადიკალურად განსხვავებული პროექტები. საკრებულომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, მაგრამ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია არ იზიარებს აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილ პროექტებს, რადგანაც ის არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონით განმარტებულია თუ რას წარმოადგენს **დაწესებულება**. ეს არის „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებას“, ამასთანავე კანონის თანახმად დაწესებულება უნდა დაფუძნდეს მხოლოდ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. კერძოდ, კანონში წარმოდგენილია **საჯარო დაწესებულების** განმარტება, რომ ეს არის „დაწესებულება, რომელსაც აფუძნებს და მართავს მუნიციპალიტეტი ან მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“, ამასთანავე დაწესებულების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მიზნით იგი ახორციელებს დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგს; დაწესებულების მიერ ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის წარმოების შემოწმებასა და შეფასებას; დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების შემოწმებასა და შეფასებას. გამომდინარე აქედან, აღმსრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი პროექტიდან და განმარტებებიდან ნათლად იკვეთება, რომ ადგილი აქვს კანონის უხეშ დარღვევას, რადგანაც არ არის ნათლად გამოკვეთილი რას მოიაზრებს დაწესებულებაში და უშუალოდ ვინ იქნება მომსახურების მიმწოდებელი და ვინ მაკონტროლებელი? მათ მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რჩება არსებული გაერთიანება, ძველი ფუნქციებით და მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს გამგეობის სტრუქტურული ერთეული. კანონის მოთხოვნის შესაბამისად არ შეიძლება მაკონტროლებელი ორგანოს დუბლირება. თუ იქმნება სტრუქტურული ერთეული მაშინ, რა საჭიროა დამატებით კიდევ მაკონტროლებელი ა(ა)იპ-ი. დეპუტატმა ია ჩხაიძემ ასევე განაცხადა, რომ სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო კუთხით მოხდა კადრების წყვეტა, არ არსებობდა უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, ამიტომ ის ძველი და კვალიფიცირებული კადრები უნდა იქნას შენარჩუნებული, თუმცა გზა უნდა გაეხსნას ნიჭიერ და პროფესიონალ ახალგაზრდა კადრებსაც. გამგეობის მიერ წარმოდგენილ ნორმატიული აქტის პროექტში - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, არ იძლევა საშუალებას გავმიჯნოთ შესაბამისი კვალიფიკაციის კანდიდატი, სხვა პროფესიის კანდიდატებისაგან. ყველა დირექტორობის მაძიებლისათვის დაწესებულია მხოლოდ ერთი მოთხოვნა, პროფესიული გამოცდილება, კვალიფიკაცია და დაგროვილი სამუშაო სტაჟი არ არის გათვალისწინებული. კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ყველა ნიუანსი.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა. იგი დაინტერესდა რამდენად სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს მშენებლობა და გათვალისწინებული იქნა თუ არა ბაღების ცენტრის დირექტორის მითითებები, რაზეც დავით წულაძემ განმარტა, რომ ინფრასტრუქტურის კუთხით მოხდა ცვლილებების შეტანა.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ გამოთქვა ეჭვი აღნიშნული რეფორმა ხომ არაა მიდრეკილი რამდენიმე ბაღის არსებობისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ იგი მუდამ მოითხოვს ბაღებისათვის ბიუჯეტის გაზრდას, მაგრამ როგორც ირკვევა ბაღებს დარჩა გასასესხებელი თანხა. დეპუტატი დაინტერესდა აღნიშნული საკითხით, რაზეც დავით წულაძემ განაცხადა, რომ გამგეობის იურიდიული სამსახურის მეშვეობით მოხდა თანხის გასესხება, რომელიც დაუბრუნეს ა(ა)იპ-ის.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პროექტში ჩამოყალიბებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის ძირითადი პრინციპები, მიზნები და პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შიდა მონიტორინგის და შეფასების განხორციელების მიზნით. შიდა მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების პროცესის პარალელურად თავად დაწესებულების მიერ და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ანგარიშგებას „ადრეული და სკოლამდელი

აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, დაწესებულების ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პერსონალის პროფესიული სტანდარტი არის პროფესიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ერთობლიობა, რომელსაც უნდა ფლობდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალი. სტანდარტი განსაზღვრავს დაწესებულების პერსონალის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და ვალდებულებებს საკუთარი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

1. განათლება:

ფლობს არანაკლებ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ნებისმიერი მიმართულებით, აქვს დაწესებულებაში მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება ან განათლების ადმინისტრირების კუთხით 5 წლიანი გამოცდილება. სასურველია ფლობდეს სასერთიფიკატო პროგრამებს ადრეული განათლების, ლიდერობის, განათლების ადმინისტრირების, ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

2. ცოდნა:

ა) იცის საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

ბ) იცის ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული სტანდარტები (საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურის, წყალი, სანიტარია, ჰიგიენის, კვების);

- გ) იცის ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;
 - დ) იცის ინკლუზიური განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობა, რეგულაციები, სტანდარტები;
 - ე) იცის ბავშვთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობა, რეგულაციები, სტანდარტები;
 - ვ) იცის ბავშვის უფლებათა კონვენცია;
 - ზ) იცის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პრინციპები; ინკლუზიური განათლების პრინციპები;
 - თ) იცის ბავშვის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის პრინციპები; ი) იცის ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები;
 - კ) იცის ორგანიზაციული ქცევის თეორიული საფუძვლები; ლ) იცის ლიდერობის თანამედროვე თეორიები;
 - მ) იცის საქართველოს შრომის კოდექსი;
 - ნ) იცის ფინანსური მართვის საფუძვლები.
3. ტექნიკური უნარები:
- ა) ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს: Word, Excel, Power Point.
 - ბ) შეუძლია ელექტრონული დოკუმენტაციის და ელექტრონული პორტალის წარმოება.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით პრემიერ-მინისტრთან არსებულმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, თავისი კომპენტენციის ფარგლებში „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაზე განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილ შეუსაბამობის თაობაზე, წარმოადგინა სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ძირითადად შეეხება დადგენილების ტექსტში „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვეტერანთა კატეგორიის აღნიშვნასა და სოციალური დახმარების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის დაზუსტებას.

პროექტთან დაკავშირებით, ასევე გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა წარმოადგინა ინიციატივა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტში აღრიცხვაზე მყოფი 170 მეორე მსოფლიო და ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილე ვეტერანებიდან, იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაავადებული არიან C ჰეპატიტით, დაუწესდეს შეღავათი და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით“ სარგებლობისას არ მოეთხოვოს წარსადგენ დოკუმენტად ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა აღნიშნული ცვლილება იწვევს თუ არა სხვა პროგრამებიდან თანხის ჩამოჭრას, რაზეც სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ ცვლილება დამატებით ასიგნიების ფარგლებში ხდება და არ გამოიწვევს სხვა პროგრამებზე გამოყოფილი თანხების ჩამოჭრას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთის მცხოვრებმა უკიდურესად შეჭირვებულმა თამარ ჭეიშვილმა, რომელიც ქირით ცხოვრობდა თბილისში დახმარებისთვის მიმართა სოციალურ სამსახურს. აღნიშნულმა სამსახურმა უარი უთხრა იმ მოტივით, რომ არ ცხოვრობდა ქ. ლანჩხუთში და განუმარტეს დახმარებისთვის თბილისის მერიისთვის მიემართა. სოციალური დახმარების პროგრამაში წერია, რომ დახმარება მიეცემა ქ. ლანჩხუთში მცხოვრებ და რეგისტრირებულ მოქალაქეს, რაც სასწრაფოდ გამოსასწორებელია, ვინაიდან არასწორია პასუხისმგებლობა მოიხსნას იმ მოქალაქეზე, რომელიც მუნიციპალიტეტის რეგისტრაციაშია, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქირით ცხოვრობს ქ. თბილისში. სოციალურმა სამსახურმა აღნიშნულ პიროვნებას პასუხი გაუზავნა ქ. ლანჩხუთის კოსტავას 62-ში და არა ქირის მისამართზე. დეპუტატი დაინტერესდა, რომ როცა სამსახურმა განცხადება წაიკითხა მისი მძიმე მდგომარეობის შესახებ მე-11 დღეს რატომ უგზავნის პასუხს და რატომ შეუქმნეს მას ილუზია, რომ გაუწევდათ დახმარებას, რაზეც სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ სამსახურში ბევრი განცხადებები შემოდის და ინტერნეტთან დაკავშირებითაც პრობლემებია.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ორი წელია ინტერნეტი არ მიეწოდება სამსახურებს, რაც სამსახურის პროცესის გამართულ მუშაობაში ქმნის შეფერხებებს.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტებს დაევალებათ განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლებში) შეადგენდეს არაუმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. ანალიზით ირკვევა, რომ შესაბამისი ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს შეფერხებით. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაჩქარდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება შემცირდეს 100644 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 99150 ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯი 1494 ლარით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები 70312 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 43100 ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯი 27212 ლარით, ასევე შემცირდეს 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება; ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვის - 59600 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის - 32200 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა - 10000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების - 24900 ლარით. გამგეობის ვალდებულების კლების მუხლი 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5000 ლარით (ადმინისტრაციული შენობის ინტერნეტ ქსელის რეაბილიტაციისათვის).

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ 2016 წლის დეკემბრის თვეში არასწორად მოხდა 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი, რომელიც დეკემბერში შევიდა ძალაში, რომლის თანახმადაც ბიუჯეტის 10% შემცირება უნდა მომხდარიყო, შემცირების ნაცვლად 150 000 ლარით გაიზარდა ბიუჯეტი ახლა კი ისევ შემცირებაზეა

საუბარი, მან კითხვით მიმართა საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს ნუთუ აღნიშნული კანონის შესახებ ისინი ინფორმირებულები არ იყვნენ და რატომ არ მოხდა მისი გათვალისწინება, რაზეც სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ კანონი ძალაში დეკემბრის ბოლოსთვის შევიდა, მაშინ როცა ბიუჯეტი უკვე დაგეგმილი იყო, ხოლო 150 000 ლარის დამატება მოხდა დეპუტატების მოთხოვნით, რომლებიც ითხოვდნენ, რომ ბიუჯეტი დაგეგმილიყო 13 თვეზე, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ არ გაატარა.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განაცხადა, რომ ტრანსფერის დონე არ შეიცვლება. აღნიშნული შემცირება ხორციელდება არა მთავრობის, არამედ პარლამენტის დადგენილების საფუძველზე.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მთავრობამ აიღო ვალდებულება ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით, რისი განხორციელებაც დაევალა თვითმმართველობებს. მთავრობას რჩება იგივე პრივილეგიები, ხელფასები და დანამატები, სინამდვილეში კი ეს შემცირებები ხდება იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებიც დასაქმებულები არიან ა(ა)იპ - ში. თვითმმართველობის შიდა საქმეა, თუ რომელ ა(ა)იპ -ის შეუმცირებს დაფინანსებას და ეს არ უნდა მოხდეს მთავრობის დავალებით - თვითმმართველობების დაკნინების ხარჯზე.

დეპუტატი კახაბერ ასკურავა დაინტერესდა ვისი ხელფასების შემცირებას გულისხმობს აღნიშნული ცვლილება, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის სახელფასოს გარდა ყველას შეუმცირდება სახელფასო განაკვეთი. დეპუტატი დაინტერესდა რამ გამოიწვია 10%-იანი შემცირება, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ საქართველოს კანონის საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-8 თავის მე-17 მუხლის ექვშეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტებს დაევალოთ, განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მუოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში(გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადი ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონლის მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლებში) შეადგენდეს არაუმეტეს 2016 წლის (მოსალოდნელი) საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს.

დეპუტატი კახაბერ ასკურავა დაინტერესდა აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორ გეგმავს 300 000 ლარის შემცირებას, არსებობს თუ არა რაიმე გეგმა, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ განმარტებით ბარათში არის ასახული, ხოლო დანარჩენი უნდა შეიმუშაოს თუ როგორ დაარეგულირებს, როგორი მიდგომა ექნება აღმასრულებელზეა დამოკიდებული. მისი თქმით ა(ა)იპ „ლანჩხუთის-სერვისი“-სათვის თანხის ჩამოკლება შეუძლებელია, ვინაიდან გაძვირდა საწვავის ღირებულება. ამიტომაც საჭიროა მომზადდეს მთავრობაში გასაგზავნი წერილი, სადაც დეტალურად იქნება განმარტებული თუ რა საშიშროების წინაშე შეიძლება დადგეს მუნიციპალიტეტი თუ ა(ა)იპ-ის ჩამოეჭრება ბიუჯეტიდან თანხა. იგი ვერ შეძლებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა 1 600 000 ლარი, რომელიც ფეხბურთს აღარ დაჭირდა სად იქნა გადანაწილებული, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ თანხის ნაწილი ბაღს დაუმატეს, ხოლო დანარჩენით შემოსავლები შემცირდა.

სხვადასხვა

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ფედერაციის ერთერთმა დამფუძნებელმა ბოლო განცხადება გააკეთა, რომ თუ წესდებაში არ იქნებოდა ჩაწერილი იურიდიულ მისამართად ლანჩხუთი 7 წევრიდან 4 ლანჩხუთელი წევრი არ მოაწერდა ხელს არჩეული მუჯირის რეგისტრაციაში გატარებას, რაც გამოიწვევდა არჩევნების ჩაშლას. ყოველივე ამის შემდეგ შემდეგ ოზურგეთში ჩასულ ლანჩხუთის საკრებულოს წევრებს წესდებაში დახვდათ ჩაწერილი ავტოკალმით ლანჩხუთი. ყრილობას ესწრებოდა გამგებელი ზაზა ურუშაძე, რომელმაც იცოდა, რომ ფედერაცია უნდა გადატანილიყო ლანჩხუთიდან ოზურგეთში და მას ხმა არ ამოუღია. კანდიდატმა დავით მუჯირმა დადო პირობა, რომ დამფუძნებლების ცვლილება არ იგეგმებოდა, არადა, წარმოდგენილ ახალ წესდებაში დამფუძნებლები საერთოდ არ ეწერა. ლანჩხუთელთათვის დამფუძნებლები იმის გარანტიაა, რომ ოფისი ლანჩხუთში დარჩება, რამეთუ ოთხივე


დამფუძნებელი ლანჩუთელია! გრფფ-ს პრეზიდენტად დავით მუჯირი აირჩიეს, რომელსაც ცვლილებები ჰქონდა დაგეგმილი ფედერაციის დამფუძნებლებში, ხოლო შემდეგ ოფისის ოზურგეთში გადატანას ეცადა. დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ მადლობა გადაუხადა გაზეთ „ჰო და არას“, რომ დროულად ჩააყენა საქმის კურსში ლანჩუთის მოსახლეობა.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების დროს შექმნილი საჯარო რეესტრის კარგი ელექტრონული სისტემის დამსახურებაა, რომ საჯარო რეესტრმა არ გაატარა ახალი მზაკვრული გეგმა რეგისტრაციაში და შესაბამისად არც დამფუძნებლები შეცვლილან.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ფრაქცია „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“



თავმჯდომარე:



ელგუჯა ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

17 მარტს 2017 წელი
12.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე	11:30	
2	გიორგი გოგუაძე	11:45	
3	კახაბერ ასკურავა	11:40	